ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ
ᲗᲕᲘᲗ ᲛᲣᲨᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ.

ᲪᲐᲚᲙᲔ № 3 Კ.

ᲫᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲜᲒᲠᲔᲕᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲡ
ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ.

მუშა

	1 წ.		6 თ.		3 თ.		1 თ.	
	შ.	შ.	კ.	შ.	კ.	შ.	კ.
თბილისში.	5	2	50	1	25	—	50
თბილ. გარ.	6	3	—	2	—	—	60
საზღ. გარ.	10	5	—	3	50	—	1

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

1) სახელმწიფო საბჭო და მისი მოღვაწეობა. 2) კიდევ და კიდევ—მოდის რევოლიუცია!.. 3) ფელეტონი: ანარხია. 4) ახალი ამბები. 5) რუსეთის ქრონიკა. 6) უცხოეთი. 7) დეპეშები.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: თავად-აზნაურთა სახლი, სასაწლის ქ., № 117.

№ 4 ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ 9 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1906 წ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ № 4

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რედაქცია სთხოვს ყოველგან ყველა ამგხანაგებს, თანა-მოაზრეებს და იმათ, ვინც თანაუგრძნობს გაზეთის მიმართულებას, გაუწიოს ენერგიული დახმარება: ეკონომიური და იდეიური კოოპერაცია გაზეთის გამოცემის საქმეს: საღამოების გამართვით, სპეკტაკლების დადგმით, და ხელის მოწერის გამართვით, რეფერატებით.

ეთხოვეთ პროვინციაში გაფანტულ ამხანაგებს ხელი შეუწყონ გაზეთის გავრცელებას, მოგვაწოდონ წერილები და კორესპონდენციები.

ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡᲐᲨᲘ ᲤᲣᲚᲔᲑᲘ ᲧᲝᲚᲔᲚ ᲨᲐᲒᲐᲗᲝᲚᲑᲘᲗ ᲒᲕᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲜ ᲗᲣ ᲡᲣᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲘᲦᲝᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

ᩩᲩᲕᲔᲜ მზად ვართ დავუთმოთ ჩვენი გაზეთის პატარა კალონები **ᲛᲣᲨᲘᲡ**, მწარმოებლის მიერ გამოცხადებულ პროტესტს მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ამით ხელი შევუწყოთ მუშების დიად ბრძოლას სახელმწიფოსა და კაპიტალის წინააღმდეგ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ.

ორმოცი დღეა საბჭო არსებობს.

რით გამოიხატება მისი არსებობა?

ორმოცი დღის განმავლობაში გამუდმებული, დაუცხრომელი მოქმედებით.

რით იმოქმედა საბჭომ?

500 დეპუტატის 500 ენით.

რა გააკეთა?

არაფერი.

რას გააკეთებს?

იმოდენა არაფერს, რამოდენსაც მოქმედებს.

მოქმედების ჯამი?

ისევ არაფერი.

რას გამოელოდა მისგან ხალხი?

ყველაფერს.

ამნისტიას.

რა მიიღეს?

სამხედრო წესის გაძლიერება.

კიდევ?

განსაკუთრებული კანონები.

რას გამოელოდნენ კიდევ?

საპყრობილეების კარის გაღებას მიიღეს?

დიიი...ააა...ხხხ...

რა გემართება?

რა და სიხარულისაგან ყანყრატო დამიწვრილდა და ნერწყვი აღარ გადადის.

რატომ?

იმიტომ რომ მიიღეს.

რა?

რა და საპყრობილეების კარები გააღეს და სულ მთლად მოფინეს.

რატომ?

იმიტომ, რომ შიგ შემსვლელი ბევრია, და თავისუფლად უნდა შევიდნენ.

კიდევ რა მიიღეს?

მათრახები ძველებურად, არა ჩვენებურად.

კიდევ?

თოფის კონდახები.

კიდევ?

საღრჩობელა.

გლეხმა სახელმწიფო ხარჯით ციმბირში გადასახლების უფლება მაწის მაგიერად.

კიდევ?

მუშებმა კატორგაში მუშაობის უფლება, საწარმოვო იარაღების მაგიერად.

კიდევ რა?

რა და პანღური გორემიკინისაგან.

ვინ მიიღო?

ჩვენმა პარლამენტმა.

რატომ?

რატომ და სისულელით თავი მოაბეზრა.

რა პასუხი გასცა საბჭომ?

ვერაფერი საქმით და ბევრი სიტყვით.

რატომ?

იმიტომ, რომ ძალა მთავრობამ დაიტოვა და უფლება პარლამენტს მისცა.

რას აპირობს ხალხი?

არაფერს!

რატომ?

იმიტომ, რომ დეპუტატები წამოვიდენ საბჭოდგან.

რატომ?

იმიტომ რომ, მთავრობასთან ყბედობით ვერაფერი გიიტანეს.

ეხლა რას აპირებენ?

რას და უნდათ თავისი ყბედობას გლეხებში უპოვნონ გასავალი.

რას იზამენ?

ვერაფერს.

რატომ?

იმიტომ, რომ გლეხთაგან უსულელესი გლეხი დეპუტატთაგან, მინისტრებთაგან უკეკვიანესზე უფრო ჭკვიანი.

რა იქნება საბოლოვო ნაყოფი?

რა და მთავრობა „დუმას“ პანღურს ჭერავს.

რა „დუმას“?

სახელმწიფო საბჭოს „დუმას“.

შემდეგ?

შემდეგ ხალხი მთავრობას მოექცევა ამ გვარად.

ალი.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ,—ᲛᲝᲓᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ!...

სული განმანადგურებელი არის
ამაგე დროს სული შემოქმედებისა.
მ. ბაკუნინი.

კიდევ და კიდევ განვიმეორებთ,—მოდის რევოლიუცია! პირველი აქტი რევოლიუციის დასრულდა; ოცტა ხნის ანტრაქტის შემდეგ იგი ისევ გრძელდება; მეორე აქტი იწყობა. საცაა ფარდა აიხდება და დიადი ბრძოლის სურათები ისევ დაგვეხატება თვალის წინ.

ყოველ დღე მოდის ამბები.—აქ გლეხებმა მემამულე აიკლეს, აქ ჯარი აჯანყდა და აღარ ემორჩილება მთავრობას და უფროსებს, იქ კიდევ გიფიცავ მრავალ ათას მუშათა;—დამშეულთა მიერ ცარცვა-გლეჯა, ჯაცის კვლა,—მთავრობის უძლურობა, ყოველივე ამის წინააღმდეგ, ან და მისი საშინელი სისასტიკე, რომელიც კარგს ანას მოასწავებს თვით მთავრობისათვის,—აი რასა ეხედავთ ჯერ ჯერობით; ეს მხოლოდ მომზადებაა რევოლიუციის მეორე აქტისათვის, რომელიც ახლოვდება.

დამარცხებული საზოგადოებრივი ძალები ისევ იკრიბებიან; მეტი გამოცოილებით აღჭურვილი ისინი უფრო მედგრად და სასტიკად დაუტაკებიან იმ საშინელი რეაქციის ძალას, რომელმაც რუსეთის რევოლიუციის პირველი გამოსვლის დამარცხების შემდეგ შავ-ბნელ ზეწრად გადაეფარა მთელი რუსეთის სისხლში მცურავ ხალხს, საშინელი და მძლავრი, სულის შემხუთავი მაჯლაჯუნასავით დააწვა თავზედ მთელ ევროპასაც კი, მთელი კაცობრიობის აზრსაც. განადგურების სული, რევოლიუციის სატანა—ეს მუდამ აჯანყებული და მოუსვენარი სული საზოგადოებრივი ჯოჯოხეთისა, ისევ საშინელი ღრიალით აპირობს ამოვარდნას საზოგადოებრივი ჯურღმულიდან, და მისი მძლავრი შენძრევა დღეს გვამცნობებს მისი მეორედ მოსვლის საშინელებას. მთავრობა ამას თავის ჟარგონზე повореніе смуты-ს ეძახის,—ჩვენთვის კი იგი რევოლიუციის მეორედ მოსვლაა.

ხვენ კიდევ დასაწყისში ვამბობდით, რომ რუსეთის რევოლიუცია, როგორც ყველა სხვა დიდი რევოლიუციები, მრავალ გამარჯვებათა და დამარცხებათაგან შესდგება მეთქი, მრავალ მომენტთაგან, რომელნიც განსაზღვრული დროის სიდიდეს მოინდომებენ. ეხლაც ამ აზრისა ვართ. და მართლაც რევოლიუციის მეორედ მოსვლა უკვე მოახლოვებულია, მისი ქუხილი ჯერ შორეული ხმით გვამცნევა რეაქციის საშინელი ჯურღმულიდამ, მაგრამ ძლიერ მალე ზათქით და ზრიელით დაგვატყდება თავზედ მისი მეხი. ამოვარდება მალე ისევ ეს ბატონთათვის ბოროტი და ყმათათვის კეთილი სული რევოლიუციის სატანისა, და დაიწყებს ყოველთვის ნგრევას, როგორც ეს იმანა ჰქმნა თავისი პირველი მოსვლის დროს. დადგება ისევ დრო საყოველთავო უარ-ყოფისა, დანგრევისა დახოცისა.. კერძო საკუთრების საყოველთავო უარ-ყოფისა, სახელმწიფოს დანგრევისა, სახელმწიფო და ბურჟუაზიულ დაწესებულებებში ხალხის მიერ ხოსის შეტანისა. რაც ხალხმა რევოლიუციის პირველი აქტის დროს აღასრულა და შემდეგ რეაქციის ბოროტმა ძალებმა თავზედ გადაანგრია, ისევ იმისავე შექმნას შეუდგება ხალხი, მაგრამ სანამ შენებას შეუდგებოდეს, მისთვის ისევ საჭირო იქნება ხელ-ახალი დანგრევა იმ შენობისა, რომელიც მთავრობამ და რეაქციამ გამარჯვების შემდეგ შეაკეთეს და გაამაგრეს: ხალხი ისევ დაუწყებს წყვეტას ეკონომიური და პოლიტიკური მონობის ჯაჭვებს, და შემდეგ შეუდგება თავისუფლებისა და თანასწორობის საზოგადოების შენებას, როგორც ეს მანა სცადა რევოლიუციის პირველი გამოსვლის დროს, მაგრამ ჯერ დანგრევა, დანგრევა და კიდევ დანგრევაა საჭირო...

არ შეიძლება რომელიმე მაგარი საფუძველი დამკვიდრდეს, თუ ჯერ

ძველი, დამპალი შენობის დამპალი საკირველი სრულიად არ აიღე მიწიდან. ამ საძირკვლის აღება უუსაპიროესი მომზადებაა ახალი საძირკვლის ჩასაყრელად. ეს განადგურება ძველი საძირკვლისა აუცილებელი პირობაა შემოქმედებისათვის,—ახალი საძირკველის ჩაყრისათვის, მაშ რევოლიუციის მეორედ მოსვლის დროს არ დაგვავიწყდეს დიადი პრინციპი საყოველთაო დათრგუნვის გიგანტი მოციქულისა: ძალა განმანადგურებელი არის იმავე დროს ძალა შემოქმედებითიო!

ხომ გვახსოვს, ხალხო, შენი მდაბიო სიბრძნის გამომხატველი მშვენიერი, ოცნება—წამტაცი ზღაპარი ცხრა—თავიანი დევისა: ამირან გმირმა რომ ცხრა—თავიანი დევი დაიპყრო და რამდენ თავსა სჭრიდა იმდენი ამოდიოდა, სანამ ცხრავე არ გაგდებინა, ან და ის, თუ როგორ გაოცხლდა ისევ ერთი სამ თავიანი დევი, რადგანაც გმირს დაავიწყდა მოჭრილი თავებიდან გამომძვრალი მატლების გასრესა? ჩავუკვირდეთ, როგორი ღრმა აზრია დახატული ამ უბრალო ზღაპარში. იგი გვეუბნება—თვით მიზეზი უნდა მოისპოს ყოველივე ბოროტი მოვლენისა, და მაგან მოისურვა თვით ბოროტი მოვლენაცა, თვით პირობები უნდა შეიცვალოს რომელიმე ბოროტი მოვლენისა და ახალი, კარგი პირობები უნდა შეიქმნას, რომ ბოროტის მაგიერ, კეთილი მოვლენა წარმოიშობოსო.

და სწორედ ესე უნდა მოიქცეს ხალხი დიდი აჯანყების დროს. მან თავის განმადგურებელ ბრძოლაში არ უნდა დასტოვოს არც ერთი პირობა თავისი მონობისა, არც ერთი საზოგადოებრივი დაწესებულება, თუ არ უნდა რომ მონობამ ისევ აღიმართოს თავისი საზიზღარი ტახტი, სიკვდილისა და გადაშენების ვეშაპმა ისევ ანთხიოს ჯოჯოხეთური ცეცხლი მრავალ-ტანჯულ კაცობრიობას და საფლავის სუდარაში შეახვიოს იგი.

ფრანგები მღერიან ხოლმე: გულმავიწყო ხალხო, ოდეს აჰსდგე, ნუ გაიკლებ გულში ნურავითარ კეთილ-შობილურ გრძნობას: მცარცველები, ბურჟუები, მღვდლები, მთავრობის ხალხი და პოლიციელები ღირსნი არიან ფარნებზედ ჩამოკიდებისა. დავაქციოთ ყაზარმები, მონასტრები და ბანკები,—ომი დიკტატორებს და გაუმარჯოს ზარბაზნის გრიალსო!..

და საფრანგეთის ხალხმა, რომელმაც ამდენი რევოლუცები გამოიარა და ბრძოლაში გამოიცადა და გამოიბრძენდა, ძლიერ კარგად იცის ამ თავისი პატარა სიმღერის ღრმა ფილოსოფია:

✓ როდესაც რევოლიუციის სული ძველ წეს-წყობილებას ანადგურებს, საზოგადოებაში არ უნდა დარჩეს არც ერთი ისეთი ელემენტი, რომლის ლოგიკური და ბუნებრივი განვითარება საზოგადოებაში ისევ ექსპლუატაციას და უთანასწორობას დამყარებს.

კიდევ და კიდევ, რევოლიუცია ძალა!.. და ხალხმა უნდა იცოდეს, როგორ მიიღოს ეს განმანადგურებელი სული. თუ ხალხი ან თავისი მოუმზადებლობით, ან შეუგნებლობით ვერ მოსპობს მთლათ ერთიანათ ძველ წეს-წყობილებას, ყველა მონურ დაწესებულებათა, მაშინ იგი თავის დღეში ვერ ჩაჰყრის ახალი, თავისუფალი საზოგადოების საფუძველს. იგი მხოლოდ ფორმას შესცვლის მონობისას და შემდეგ კიდევ მრავალი რევოლიუცია დასჭირდება ამ ახალ ფორმის მონობასთან საბრძოლველად, როგორც ეს განიცადა საფრანგეთის ხალხმა,—კიდევ სისხლის ღვრა, კიდევ ტანჯვა და წამება, სასოწარკვეთილება და მუდმივი, მტანჯველი იმედი გამარჯვებისა! ყოველივე ეს კი ხალხს აგრე იაფად არ უჯდება. მაშ კიდევ,—დავინახსოვროთ სამარადისოთ, რომ ძალა განმანადგურებელი არის იმავე დროს ძალა აღმაშენებელი.

და როდესაც დაჭკრავს საათი რევოლიუციის მეორეთ მოსვლისა (ეს მგონი კიდევ აღსრულდა), მას ხალხი უნდა შაჰხვდეს ნამდვილი და ძლიერი განმანადგურებელი ძალით, თუ უნდა რომ ლოგიკურ ბოლომდის მიიყვანოს რევოლიუცია, თუ უნდა რომ თავის შემოქმედებას ნაძდვილი საფუძველი დაუდოს, თუ უნდა რომ განახორციელოს თავისი სანატრელი იდეალი,—საზოგადოება კომუნისტური და თავისუფალი,—ანარხია.

მეტი ძალა, მეტი მომზადება, შექმნა გონებრივ და ფიზიკურ ძ... თა მთელი ზღვისა, რომლის ტ... ღებიც წალეკავს თანამედროვე ... ზოგადოებრივ წუმპეს,—და მ... რევოლიუციაც სრული და ნაყოფ... ერი იქნება,—შემოქმედი! წინა... დეგ შემთხვევაში კი რევოლიუ... იქნება დამარცხებული, ან ნახ... რად გათავებული, რაიცა ხხოლ... ხანგრძივ მონობის შემდეგ გა... წვევს ახალ რევოლიუციას, ე. ... ხალხის ენერგიის ხელ ახალ ფ... გვასა და ხარჯვას,—მუდმივი ... ნის მისაღწევად...

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის გმირმა სთქვა: თავისუფლებ... მოპოვებისთვის საჭიროა: ვაჟკაცობა, კიდევ ვაჟკაცობა და ყოველთ... ვაჟკაცობაო,—ჩვენ კი ვიტყვ... თავისუფლების და ბედნიერების ... კვიდრებისათვის საჭიროა ძველის ... ნადგურება, კიდევ განადგურება ... სრული განადგურება, რომ საუკ... ნოთ და საყოველთაოდ დაუდგ... ბრწყინვალე ტახტი ანარხიას ... კომუნიზმს, ხალხის ნამდვილ შენ... ქმედებას, რომელსაც არაფერი ს... რთო არ აქვს არც ერთ თანამედ... როვე საზოგადოებრივ დაწესებ... ლებასთან.

ამიტომ გვინდა მოვსპოთ რევ... ლიუციის მეორეთ მოსვლის დრ... მთელი რუსეთის დამყაყებული ... ზოგადოების საფუძველნი; შეიძლ... ბა ერთ ქვეყანაში მომხდარმა ... გვარძა ღრმა რევოლიუციამ მთ... ქვეყანას მოსდოს ბოროტი სულ... „ხაოსისა“ და ანარხიისა, და საშ...

ფელეტონი

—

ანარხია (ლაზე რეკლიუდან)*).

(გაგრძელება).

ის აღზრდა, რომელიც მათ მიიღეს, არ აძლევდათ ნებას წარმოედგინათ თავისუფალ საზოგადოების არსებობის შესაძლებლობა, საზოგადოება რომელმაც უნდა იმოქმედოს ჩვეულებრივ უმთავრობოთ, ამიტომ დასცემდენ თუ არა საზიზღარ მმართველობას, მზად იყვნენ მათ ადგილას დაესვათ სხვა მმართველობა, რომლებსაც ავალებდნენ იმ საუკუნოებრივ მარტივის განხორციელებას, რომლითაც უნდა „ეზრუნათ თავიანთ ხალხის ბედნიერებაზე“ რევოლიუციონერები ჩვეულებრივად თითქმის ხელს არ ჰკიდებდნენ არსებულ ხელმწიფის ან დინასტიის დამხობას უმისოდ, რომ არ გამოეთქვათ წინ და წინ თავისი მორჩილება რომელიმე მომავალ მფლობელობისათვის. ,,მეფე მოჰკლეს, გაუმარჯოს მეფეს!“ იძახოდნენ ქვეშევრდომნი, რომლებიც აჯანყების დროსაც კი ერთგული რჩებოდნენ. ამ გვარი იყო მრავალისგან მრავალი საუკუნოების განმავლობაში უცვლელი მსვლელობა ისტორიულ შემთხვევათა.

,,ნუ თუ შესაძლებელია უბატონოდ ცხოვრება?“ აძახებენ მონები, ცოლები, ბავშვები, როგორც ქალაქის ისე სოფლის მუშები და ძორჩილად ებმოდხენ უღელში. გაიხსენეთ 1830 წელს აჯანყებულები, რომლებმაც სიამოვნებით ძიესალმენ ,,უკეთესს რესპუბლიკათაგანს“, რომლებიც ამას ხედვიდენ 1848 წლის რესპუბლიკანელებმი და მეფეში რომლებიც მშვიდათ უბრუნდებოდნენ თავიანთ სოოოებს, მას შემდეგ რაც შესწირეს მსხვერპლად სამი თვის გაჭირვება დროებით მთავრობას. ამავე დროს გერმანიაშიაც აინთო რევოლიუციის ცეცხლის ალი და ფრანკფურტში სახალხო პარლამენტი იკრიბებოდა: ,,ძველი მპყრობელობა ლეშად გარდაიქცა!“ გაიძახოდა ერთი წარმომადგენელთაგანი ,,დიად“ უპასუხა თავმჯდომარემ, ,,ძაგრამ ჩვენ მას აღვადგენთ მკვდრეთით. ჩვენ შევმართავთ ახალი კაცების დახმარებას, რომლებიც ძესძლებენ დაუბრუნონ მპყოობლობას ხალხის ძის მიერ დაკარგული ნდობა“.

ამ თვალთახედვის ისოიდან ანარქია მართლა ახალ სულის კვეთებას წარმოადგენს.

ვერ უსაყვედურებენ ანარქისტებს, რომ მათ სურთ არსებული მთავრობის დაცემა იმიტომ, რომ სურთ მათი ადგილის დაპერა. ისინი ზიზღით აქცევენ ზურგს იმ ფორმულას (მასტივს), რომელიც ამბობს: წადი მაქედან რომ მე დავდგე შენს ადგილზეო!“ და თუ ვინმე მათგანი მოიწამლა უფლობის, მპყრობელობის მოყვარეობის საწამლავით და მოითხოვა რაიმე გავლენიანი თანამდებლობა, იმ მოსაზრებით, იმ გვარადვე რომ „გაბედნიერეოს თავისი თანა მოქალაქეები,“ ისინი მაშინ შეხედავენ ძას ზიზღით ან სიბრალულით მაინც. ანარქისტები ემყარიბიან სინამდვილის დაკვირვებაზე და ამბობენ, რომ სახელმწიფო და ყველაფერი, რაც მასთან დაკავშირებულია, არ წარმოადგენს თავის თავად რაღაც აბსტრაქციას, რაღაც ფილოსოფიურ ფორმულას (მარტივს), არამედ ყრილობას ადამიანებისას, რომლებიც განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებიან, და რომლებიც დამორჩილებული ჰყავს ამ პირობების გავლენას; სახელმწიფოზე ძიმდობილია უმაღლესი თანამდებობანი, უმეტესი უფლება და ძეტი შინაარსი, ვინემ დანარჩენ მათ თანა მოქალაქეებზედ და აი სწორეთ ეს გარემოება აიძულებთ მათ (სახელმწიფო კაცებს) დააყენონ თავიანთი თავი ჩვეულებრივ ადამიანებზე ზევით, და ამ დროს ... ყოველგვარი მაცდურება, რომელ... შიდაც აგდებს იმათ მათი მდგომ... რეობა, თითქმის ფატალურად, აქ... ვეთებს მათ და აყენებს საზოგადო... დონეს დაბლა. ჩვენ ვამყარებთ ამ... განუწყვეტლივად ჩვენ ძმებს—ხშირად... მტერ ძმებს—სახელმწიფოებრივ სო... ციალისტებს: გაუფრთხილდით თქვენ... ბელადებს და წარმომადგენლებს. უეჭველია ისინი ხელმძღვანელობენ ... ისეთივე წმინდა განზრახულებით, ... როგორც თქვენ; იმათ მხურვალეო... უნდათ კერძო საკუთრების მოსპობა მტარვალური სახელმწიფოსა... მაგრამ ახალი წრე (გარემო), ახალ... კაცები, ახალი პირობები, ცოტ... ცოტათ სცვლიან მათ. ისინ... იცვლებიან ზნეობრივად იმ ზომ... რა ზომითაც მათი იხტერესები ... შეუმჩნეველად თავის თავისა ისინ... უნებლიეთ იწყებენ თავის ამრჩევლ... ბის ღალატს. თუ უფლობას ჩა... გდებენ ხელში, იმათაც მოუხდებ... ისარგებლონ უფლობის იარაღით; ... მხედრობით, ოფიციალური მორ... ლისტებით, მსაჯულებით, ჟანდა... მებით, პოლიციით და შპიონებით. ... უკვე სამი ათასი წელიწადია მას შ... დეგ, რაც ინდოეთის პოეტმა მ...

*) იხ. ხმა № 4,

ნელი საყოველთაო განადგურებიდან გამოვიდეს ადამიანი, ნამდვილი გვირგვინი შემოქმედებისა, ადამიანი თავისუფალი და ყოველ თვისი ძალებით განვითარებული.

მაშ არასოდეს არ დავივიწყოთ საყოველთაო დათრგუნვის მოციქულის სიტყვები, რომ ძალა განმანადგურებელი არის იმავე დროს ძალა შემოქმედებისა.

სულეიმან-ეფენდი.

ახალი ამგავი

8 მაისს გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიკეტა გაზეთი „ნაროდ“. დაბეჭდეს სტამბა „ცისკარი“, სადაც გაზეთი იბეჭდებოდა.

— გამოვიდა დღეს ახალი გაზეთი „რაზსვეტ“.

— ტფილისის კადეტის კორპუსში სწავლა დაუმთავრებიათ 44 მოსწავლეს. კადეტები კვლავინდებურათ, თურმე სამხედრო სასწავლებლებში აღარ აპირებენ სწავლის გაგრძელებას. უმრავლესობას აზრათა ჰქონიათ სწავლა უნივერსიტეტებში და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში განაგრძონ.

— როგორც წინათაც მოხსენებული გვქონდა უსაქმოთ დარჩენილთა ბიურო შეუდგა უსაქმოთ დარჩენილების მთელს ქალაქში საერთო სიის შედგენას. ბიუროში უმთავრესათ ინტელიგენტები ჩაეწერენ და მდაბიო მუშები კი რაღაც გაურბოდენ ჩაწერას.

ბარატამ შემდეგ ნაირათ განმარტა მრავალ საუკუნოების ცდა ამის თაობაზე: „ცხენოსანი ქვეითის ამხანაგი არ არისო“. ანარქისტების შეხედულება ამის თაობაზე ძრიელ განსაზღვრულია! მაი ასრნთ უფლობის (власть) დაპერობას შეუძლია იქონიოს შედეგათ მსოლოდ გაგრძელება ამაუ უფლობის და ამასთანავე შესი შესაფერი მოსობის ამნაირად ჩვენ სამართლიანად გვეძახიან „ანარხისტებს“, რაც არსებითაც უარის ყოფას წარმოადგენს. აგრეთვე შეიძლება, დაგვიძახონ „მეთავისუფლენი“ (свободники, свободовольцы), როგორც ზოგი ჩვენთაგანი სიამოვნებით ირქმევს ამ სახელს, ან „გარმონისტები“ (თანხმობის მომხრეები), რადგან ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მომავალი საზოგადოება დამყარებული იქნება მისი წევრების ნების სრულ შეთანხმებაზე; მაგრამ ორი უკანასკნელი სახელწოდება არ გვარჩევს საკმარისად სხვა სოციალისტებისაგან, ჩვენი არსებითი განსხვავება შესდგება სახელდობ ყველა ოფიციალურ უფლობის (власть) უარის ყოფაში, ჩვენ შეურეთ თვითეულ პიროვნებას, როგორც ცალკე ცენტრს მსოფლიოსას და ჩვენი აზრით თვითეულ პიროვნს აქვს უფლება, ყოველ მხრივი, ინტეგრალური (ერთიან) განვითარებისა, მოკლებული მის სამართავ ყოველგვარ მთავრულს ძალას, მმართველობას ან დასჯას.

თქვენ იცნობთ ჩვენ იდეალს ეხლა იბადება კითხვა: ,,მართლა დიდია ეს იდეალი, ღირს იმათ, რომ სულგრძელმა ადამიანებმა შესწირონ თავი მის მისაღწევად, ღირს იმათ, რომ განვიცადოთ რევოლიუციის განსაცდელი? თავისუფალ-საზოგადოებაში, რაშედიც დაშვარებული იქნება ანარხისტულ ზნეობაზე, კაცი უკეთესი იქნება, ვინემ ისეთ საზოგადოებაში, რაშედაც დაშვარებული იქნება შაშზე. სამთავრო ძალის და კანონის წინაშე?'' ამ კითხვაზე მე გაბედულათ გიპასუხებთ და იმედი მაქვს, რომ თქვენც მალე ჩემთან ერთად იტყვით;—დიახ, ანარხისტული ზნეობა სწორედ ისეთია, რომელიც უმეტესად შეეფერება თანამედროვე წარმოდგენას სამართლიანობაზე და კეთილობაზე.

თქვენ იცით, რომ ძველი ზნეობის საფუძველი იყო მხოლოდ შიში „ღვთის შიში—სიბრძნის სათავე“—ამგვარი იყო უწინდელ დროში ხელმძღვანელი აზრი განათლებაში. მთელი საზოგადოება მაშინ შიშზე იყო აგებული: ადამიანები ჯერ კიდევ არ იყვნენ მოქალაქეები, არამედ იყვნენ მხოლოდ ქვეშევრდომნი ან სამწყოსო, ცოლები—მოახლეებათ, ბავშვები—პატარა მონებათ, რომლებზედაც შშობლებს კიდევ დარჩენოდათ ძველი უფლება მათი სიკვდილი სიცოცხლისა. ყოველგან ადამიანების ყველა ურთიერთობაში ემჩნეოდა საუფროსო და სამორჩილებო ურთიერთობა; უკანასკნელად, ჩვენ დროში თვით სახელმწიფოებრივობის პრინციპის და ყველა კერძო მის შემადგენელ სახელმწიფოების საფუძვლად მიღებულია იერარქია ანუ წვიდა არქია, „ნაკურთხი“ უფლობა,—ასეთია სწორედ ამ სიტყვის ნამდვილი აზრი. ეს კურთხეული იერარქია მოითხოვს საზოგადოების გაყოფას კლასობის მთელ რიგად, რომლებიც დალეკილ არიან ერთი მეორეზე, ამასთანავე ყველა უმაღლესთ აქვთ უფლება ბრძანებლობისა და ყველა უდაბლესთ მორჩილებისა. ოფიციალური ზნეობა შესდგება უფროსის წინაშე ქედის მოხრაში და უმცროსის წინაშე ამ ქედის ამაყად გამართვაში. ყოველ ადამიანს, ორი პირი უნდა ჰქონდეს ისე, როგორც იანუსს *) და ორი ღიმილი ერთი პირფეროვანი, მოკრძალებული, ხან-და-ხან შინაყმური, მეორე კი ამაყი, კეთილ-შობილი მოწყალების კილოიანი.

პრინციპი უფლობისა (власть) მოითხოვს, რომ მას არასოდეს სიმტყუენე არ ეტყობოდეს, რომ ყოველთვის და ყოველგან ეკუთვნოდეს უკანასკნელი სიტყვა, ანუ უმთავრესად, ყოველივე მისი ბრძანება სისწორით სრულდებოდეს. ამით მარტივდება ყველაფერი ისე, რომ საჭირო არ არის არც მსჯელობა, არც ახსნა, არც გაუბედავობა და არც აზროვნება, მაშინ ყველაფერი თავისთავად კეთდება, სულ ერთია კარგად თუ ავად. თუ შემთხვევით, უფროსი არ დარჩა, ვისგანაც ბრძანება უნდა მიიღონ, განა მზად ხელ ქვეშ არ არის დამზადებული ფორმულები კანონებისა და ბრძანებათა, რომლებიც გამოცემულია იმავ თვითმპყრობელ მეფისაგან და ან სხვა ჯურის კანონმდებლებისაგან? ეს დამზადებული ფორმულები თავის თავად ხელმძღვანელობას და პირად ბრძანების მაგიერობას უწევენ და მას მისდევენ იმის დაუკითხავად თანახმა არიან თუ არა თავიანთ, შინაური სინიდისის ხმასთან.

*) იანუსი ორპიროვანი და ერთ სხეულიანი ღმერთი იყო, რომლის ერთი პირი წინ იყურებოდა და მეორე უკან. მისი სახელი დაერქვა იანვრის თვეს, რომლითაც თავდება ძველი ხელი და იწყება ახალი.

როგორც აშკარავდება მუშები დაუშინებიათ ვიღაც ბოროტ გამზრახველებს, თითქოს სიები პოლიციისათვის იწერება და ყველას იქ ჩაწერილებს, როგორც უსაქმოებს, ქალაქიდან გაგზავნიანო. თანაც ამ ხმებისათვის საფუძველიც მიუციათ იმ ფაქტებით, რომ ამ უკანასკნელ დღეებში პოლიციამ არა ერთი მუშა გაგზავნა თბილისიდან სამშობლოში. ბიუროს კომისია ამის გამო იძულებული შეიქმნა ჩაწერის ვადა, რომელიც 5 დღემდე იყო, კიდევ განეგრძო, მინამ ყველანი შეძლებისა და გვარათ არ ჩაეწერებოდენ.

— 6 ივნისს გაიხსნა თბილისის გუბერნიის სამღვდელოების კრება და 7 ივნისს საქმეების გაარჩევა დაიწყო. პირველსავე სხდომაზე კონსერვატიულმა აზრებმა იჩინა თავი. ზოგიერთ მამები ისეთ აღიტურვენ თვის აზრების კედლებ გარედ გამოტანაზე, რომ ლამის იყო ბეჭდვის წარმომადგენლებს უარი უთხრეს დასწრებაზე. ბოლოს კი გადასწყვიტეს ნება დაერთოს.

— ქალაქის გამგეობა თავის აგენტებს წინადადებას აძლევს, რომ მათ რეპრესიულ ზომებსაც კი მიმართოს, ოღონდაც დარჩენილი ზოგიერთებზე ნედლიმკები აიღონ თურმე, უფრო მსხვილ კაპიტალისტებზე და ბიუროკრატებზეა დარჩენილი, მაგ. ნედლიმკები ჯერაც არ გადუხდიათ. ბ. აღელხანოვს 7,000 მ.), ენფიანჯიანცს, ჩითახოტეს თბილისის ტრამვაის დეპოს მუშებმა. ამათ ამას წინათ დირექტორს მოთხოვნილებანი წარუდგინეს და სპასუხოთ სამი დღის ვადა დაუთქვეს.

— ავლაბარში სასაკვლილოთ დასჩრეს თავისმა ამხანაგებმა პოლიციის ზედამხედველი ესენცევი.

— ამაღლების ქუჩაზე მოჰკლეს სახლის პატრონი მელქუმოვი. მიზეზი მკვლელობისა არ იციან. მკვლელები მიიმალნენ.

რუსეთის ქრონიკა

გლეხების განცხადება.

ზოგიერთმა გუბერნიის უფროსებმა მიიღეს მოხსენებები სამაზრო პოლიციისაგან, რომ სოფლის კრებებზე გლეხები ამბობენ, რომ თუ ვინიცობაა გლეხობა არ მიიღებს „მიწას და თავიუფლებას“ ისინი აღარ გაჰგზავნიან თავიანთ შვილებს სამხედრო სამსახურში. გუბერნატორებმა თავიანთგნთ სავსებითი მოხსენებები წარუდგინეს პოლიციის დეპარტამენტს.

მთავრობის განზრახვა.

ყოველივე ხმები, რომ მთავრობას განზრახვა აქვს დაშალოს სათათბირო „ვადამდე“, ფანტაზიის ნაყოფია საზღვარგარეთელ კორესპონდენტების. მაგრამ ის-კი, რომ მთავრობამ დაადგინა დაამთავროს სათათბიროს სესიები 15-20 ივნისამდე, სიმართლეს არ არის მოკლებული, რადგან ამაზე მართველობის მაღალ წრეებში ფიქრობენ, ოფიციალურ ბანკეტ-ბანკეტ-ბანკეტ-

დი მითქმა-მოთქმაა. ამ ხნის განმავლობაში, ე. ი. დუმის „არ დადგების“ დროს, მთავრობა ეცდება მიიღოს შესაფერი ზომები მღელვარების ჩასაქრობად. ამ შესაფერ ზომებ შორის ასახელებენ გენერალ-გუბერნატორობის გაუქმებას, საომარ დროის და გაძლიერებულ დაცვის წესების მოხსნას იქ, სადაც ცხოვრებას ოთოდენი სიმშვიდე დაეტყობა,

—

ახალი მოსასტრეები. მინისტერთა კაბინეტი სამსახურიდან გადაყენება გადაწყვეტილია, მაგრამ ამისათვის ელიან მარჯვე დროს. ჯერ გადაყენებენ ადგილიდან ზოგიერთა მინისტრებს, მერმე კი შეადგენენ ახალ კაბინეტს იმ პირთაგან, რომელთაც დაიმსახურეს სახელმწიფო საბჭოს ნდობა.

—

ბრესის თავისუფლება. პეტერბურგიდან ჰგზავნიან მოხელეებს ოდესაში, კიევში, ვარშავაში, ხარკოვში, რიგაში და სხვა ქალაქებში რომელთაც მუდმივი ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივ პრესას. ეს მოხელენი გაემგზავრებიან ივნისის ნახევარში.

—

შემაძრწუნებელი ხმები. პოლიციის დეპარტამენტს ყოველ მხრიდან მოსდის შემაძრწუნებელი ხმები. ძლიერდება გლეხთა მოძრაობა პოლტავის, ჩერნიგოვის, ხარკოვის და კიევის გუბერნიებში. იარიბებიან გლეხების წარმომადგენელნი და ადგენენ: ბოიკოტი გამოუცხადონ მებატონეებს და არ იმუშავონ მათ მამულებში. თავად მესჩერსკის მამულში გლეხებმა უარი განაცხადეს მუშაობაზე. მემამულემ ვოლონის გუბერნიიდან თავის მამულის შესამუშავებლად გამოიწვია გლეხები რიცხვით, 80 ადგილობრივმა გლეხობამ ახალ მოსულებს, რომ გააგებინეს რისთვისაც არ მუშაობდნენ, ახლად მოსულებმა სამართლიანად სცნეს მათი ყვედრება და გაანებეს თავი მესჩერსკის მამულს.

საზოგადოთ მთელ რუსეთში იწყობა გლეხთა მოძრაობა და იმედია რომ რაც დრო გავა იმდენათ ბრძოლა გამწვავდება რადგანაც სოფელი ნათლად ხედავს, რომ მისი პირისუფალი „დეპუტატებიც“ ვერას ხდებიან და ისევ თავის თავად უნდა იზრუნოს თავის ბედ-იღბალზედ.

—

სერპუხოვის მაზრა. ამ უკანასკნელ ხანებში ბევრ ადგილებში გლეხები მივიდნენ იმ დასკვნამდე რომ ერობა, როგორც საზოგადოთ მთავრობა, არის სრულიად გამოუსადეგარი დაწესებულება.

—

ვორონეჟი. დღითი დღე იზრდება აგრარული არეულობები. საშინელი სიმშილის გამო ქალაქი გატენილია სოფლელებით, რომელნიც სიმშილის გამო სახლდებიან ციმბირში. საშინელი შესახედავები არიან—ყველა დამშეულია და სრულიად შიშველ-ტიტველნი.

—

სარეოვი. ბრძოლა რუს გლეხებისა მიწისთვის და თავისუფლებისთვის მწვავდება. სოფლის მუშებმა დაინახეს თუ რა სარგებლობა მოუტანეს გაფიცვებმა მათ ძმებს ქალაქის მუშებს.

უცხოეთი.

„სოციალური რევოლიუცია დანიშნულია 1910 წ.!“

ბურჟუაზიულ გაზ. „მატენ“-ის თანამშრომელი ამ რამდენიმე დღის წინედ საუბრობდა ჟულე გედთან *). ამ საუბრის შედეგი იყო სენსაციონური ამბავი წინამდებარ 1910 წლის სოციალურ რევოლიუციაზე. „სოციალური რევოლიუცია გედმა დანიშნა 1910 წლისთვის! აი იშვიათი უცნაური! იცინეთ, კეთილო ხალხნო!,“—იხიბლება გაზეთი და ხიბლავს თავის ბურჟუა მკითხველებს. აბა ერთი ყური დაუგდოთ იმას, თუ რა უთხრა გედმა თავის მოსაუბრეს.

„მე ვიცი და არცა მწამს რა იმ სოციალური კითხვისა, რომელიც პარლამენტის საშუალებით იქნება გადაწყვეტილი. თუ რომ უმრავლესობას მასში ე. ი. პარლამენტში სოციალისტები შეადგენენ, მაშინ ბურჟუაზია რა თქმა უნდა თავისას არ დაიშლის, აჯანყდება და ამ რიგად ყველას დაუკითხავად მოახდენს სახელმწიფოს აკლებას, გადაბრუნებას. ყოფილაკი ისტორიაში შემთხვევა იმისა, რომ ბურჟუაზია უბრძოლველად დანებდებოდეს ვისმეს? იმ პირობებში, რომლებშიაც არსებობს კლასობრივი ბრძოლა. ბურჟუაზიის განადგურება აუცილებელია, მაგრამ სიყმაწვილე იქნება იმის წარმოდგენა, რომ იგი (ბურჟუაზია) მშვიდათ, წყნარად მიეგებება თავის აღსასრულის დღეს. ოდესღაც ბურჟუაზია დიდ როლს ასრულებდა და ამიტომ მისთვის ძნელი წამოსადგენია, რომ მისი ამ ვვარი როლი ხანგრძლივი არ იყო“.

„ჟორესი რაღაცა რწმენით უცქერის რეფორმებს, მე-კი არაფერი მწამს იმათი. დავხედოთ იმ რეფორმებს, რომელთაც უკვე განვლეს. განშორება სახელმწიფოსაგან ეკლესიისა? სარწმუნოების ბიუჯეტის მოსპობა? უსირცხვილო ჯორია! როდესაც სახელმწიფო აღარ მისცემს ჯამაგირს მამებს (მღვდლებს), მათი შესანახი მოხმარდება დავიწყებულ მუშებს; ბატონ-პატრონები (хозяева) ამის გამოისობით მათ დაადებენ გადასახადს, გამოუბრიან სამუშაო ღირებულებიდან რაღაცა ფულს. „შენი ნებაა მისცემ თუ არა მამაოს რასმეს, მაგრამ ის-კი ჩემი ნებაა დაგტოვებ სამუშაოდ ქარხანაში თუ არა“, ეტყვის მუშას ბატონ-პატრონი... პირველი პირობა სულიერი განთავისუფლებისა არის ეკონომიური განთავისუფლება!.. მთელ სოციალისტურ პარტიასთან ერთად მე მოვითხოვ 8 საათის სამუშაო დღეს, მაგრამ მე არ მრწამს, რომ ეს რეფორმა, როდესაც ჩვენ მას მოვიპოვებთ, მოგვცემს რამე ბედნიერ შედეგს. მე დარწმუნებული ვარ, რომ კაპიტალისტურ წყობილების დროს ის უსათუოდ გამოიწვევს უფრო ინტენსიურ პროლეტარიატის ექსპლოტაციას... იგივე ითქმის სხვა რეფორმებზედაც, რომელთაც მიმართავენ ხოლმე ბურჟუაზიული მთავრობები; ისინი მუდამ მარტო ქაღალდზე კეთდებიან. რადიკალური პარტიაც, როგორც ყველა სხვა წინანდელი ბურჟუაზიული პარტიები, არ უხვევს ამ გზას და აშკარავებს თავის შეუძლებლობას“.

ოთხი წლის შემდეგ პროლეტარიატი მიაღწევს თავის მაღალ მჭიდრო კავშირს; მისი პროფესიონალური კავშირი იქნება ისეთივე მძლავრი, როგორც პოლიტიკური, და ეს ორი ძალა, ერთად მომქმედნი გახდებიან ისეთი მრისხანე, რომ კაპიტალისტური, საშინ მდგომარეობაში მყოფი მთავრობა მიმართავს სამხედრო ძალას; მაგრამ ჯარი არ აღიჭურვება იარაღით მისთვის პროლეტარიატის საწინააღმდეგოდ.

ასე რომ, გედს არა სწამს რა სოციალური რეფორმებისა, რომლებსაც აღჰფრთოვანებით ეგებებიან რადიკალები, არ სწამს სოციალუსტურ წყობილების დამყარება პარლამენტში უმრავლესობის, გინდ იყოს იგი სოციალისტურიც-კი, დადგენილებით; ის თავის უფლებებს არ შეიზღუდავს ერთი მშრომელისაგან იმისდამი „ბოიკოტის“ გამოცხადებით. არა და არა! იგი თავის უფლების შერჩენისათვის არ დაზოგავს მთელ სახელმწიფოს განადგურებასაც-კი.

ერთის სიტყვით, გედი ვაურბის სოციალ-დემოკრატების უვარგის, ოპორტიუნისტურ ტაკტიკას. კარგია, რომ გედი რუსი მოქალაქე არ არის, თორემ ჩვენი „მართლმადიდებელნი“ განდევნიდნენ მას დიდებულ წმ. მარქსის ეკლესიიდან.

*) საფრანგეთში დიდათ გამოჩენილი სოციალ-დემოკრატი.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშები სააგენტო).

—

კოვნა. 6 ივნისს. საღამოს 8 საათზე გასქდა ყუმბარა კოვნოს უმთავრეს ქუჩაზე. მსუბუქად დაიჭრა საპყრობილის უფროსი გუშბერ, მისი თანაშემწე აკოტოვი კი მძიმ, რომელსაც ხელი მოსწყვიტა. მებოვე ზენეეიჩს ფერდი ჩამტვრ. დაშავდნენ აგრეთვე: ერთი ქალ, ერთიც ბავშვი. მსროლელი მიმ.

— **ნოვოჩერკასკი.** იმ ვაგონ, რომელშიდაც სცხოვრებდა უ. უფროსი ტიქი კროპივინი, გამ. ზვინილი გაფიცვის დროს წესიერ. აღსადგენად, ესროლეს ყუმბ. კრაპივინი უვნებელი დარჩა.

ვარშავა 7 ივნისს. გუშინ ს. ჩიტის ქუჩაზე თავს დაეცა ა. შტონის ახლოს მოურავს, მოკ. რევოლვერით და მიიმალნენ ხ. ხში. ელეზნი ქუჩაზე ორმა უცნ. ბმა განიძრახეს უბნის ზედამხედვ. პოპოვის მოკვლა, მაგრამ დასჯ. რა შემთხვევით ერთი დედაკ. მიიმალნენ. პოპოვი უვნებლად რჩა. „ვარშავს. დნევ.“ იტყობინ. ორ შემთხვევას საფოსტო ფურ. ნების გაცარცვისას—2 ივ. ლენჩა-ლიუბლინის ტრაქტზე კლეს ფოშტალიონი და გაიტ. 3000 მანეთი; 3 ივნისს ტაბაშ. რაზსვეტის ტრაქტზე—მოჰკლეს ეტლე საერობო დარაჯი და ... ჭრეს ფოშტალიონი. გატაცებ. ფულის ჯამი არ არის გამორკვეულ.

ეკატერინოსლავი, 7 ივნ. ბორისოვსკის მაზრის სოფელ კ. სკში აღმოაჩინეს ასაფეთქებელ. სალის საწყობი. იპოვნეს 13 ბარა, რომელთაგან 8 გახსნეს ტერინოდარის გამომძიებელთან; ნარჩენი შნეიდერის სახელოსნ. წაიღო პოლიციელმა. მეხუთე ... ბარა გახსნის დროს აფეთქდა. ... ლულია ქარგალი ურია, დაჭრ. პოლიციელი და 13 წლის ყმაწ. ლი.

მოსკოვი. ერმოლაევის გაზ. ხვეეზე ბალაშოვის სახლში რა. ნიმე შეიარაღებულმა შეჰკრეს ... იარი, შეცვივდენ აფთიქარ. ... როვის სადგომში, გამოიტანეს ... ფუთიანი დაუწვავიშკაფი და ... მალნენ.

კრემენჩუგი. გაიფიცნენ ... ლოსნო ქარხნების მუშები. მ. ... ხოვეს ქირის მომატებას.

მიტავა. შეიპყრეს მთელი გ. ... ნკის სარევოლიუციო კომიტ. რომელიც ხელმძღვანელობდა ... მაზრაში არეულობას.

ბელოსტოკი. ღამით დას. ... ებრაელი ქალი.

ბორისოვი. აპირებენ მემამ. ... თა რაიონულ სიეზდის მოწვევა. ... რარულ საკითხის განსახილველ.

რედაქტორ-გამომცემელი

მიხეილ დიასა...

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა, სახ. № 3.